ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია / Cultural and Social Anthropology

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ანთროპოლოგიის მაგისტრი /Master of Arts in Anthropology
სპეციალიზაცია: კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია/ Cultural and Social Anthropology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი (ოთხი სემესტრი). სამაგისტრო პროგრამაში 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 90 კრედიტი - ძირითადი სპეციალობა (აქედან 50 სავალდებულო და 40 არჩევითი);
- 30 კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომი.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი: წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიზნები მოიაზრებს: მაგისტრანტებისთვის სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის შესახებ მეცნიერული ინფორმაციის მიწოდებას; ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიური და ემპირიულ-კვლევითი პარადიგმების საბაზისო პრინციპების გაცნობას და მათ გააზრებას პრაქტიკული საქმიანობის კონტექსტში; უახლეს ემპირიულ/კვლევით სტრატეგიათა კრიტიკულ სწავლებას, ფართოდ გამოყენებადი კვლევითი ტექნოლოგიების დაუფლებას; სოციოკულტურული კვლევის დაგეგმვისა და დიზაინის ბაზისური პრინციპების, მონაცემთა მოპოვების, მათი ანალიზისა და ინტერპრეტაციის სწავლებას, აგრეთვე ანალიტიკური, დისკუსიური, პრეზენტაციისა და სხვა, პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ადამიანისა და საზოგადოების, სოციალური ორგანიზაციის ფორმების განვითარების ლოგიკური ჯაჭვის შესახებ ცოდნის მიცემას, რათა მათ შესძლონ ერთ მთლიანობად გაიაზრონ მსოფლიო ხალხების კულტურული მრავალფეროვნება. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სემინარები და სწავლების პრაქტიკული ელემენტები მიმართული იქნება კვლევის სტრატეგიათა და მეთოდთა გამოყენების წვდომის გაღრმავებაზე; პრობლემის დასმასა და კვლევის დაგეგმვაზე, სხვადასხვაგვარი მეთოდების გამოყენებით მოპოვებული მონაცემების ინტერპრეტაციაზე. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა პროფესიული და კვლევის ეთიკის კონტექსტში დისკუსიური და პრეზენტაციის უნარების გამომუშავებას. სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია კონკრეტულ-კვლევითი საქმიანობის სწავლება და ზემოთჩამოთვლილი უნარებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება თანამედროვე შრომითი ბაზრისათვის.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- საერთო სამაგისტრო გამოცდები
- სასპეციალიზაციო გამოცდა

- უცხო ენა (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის). პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა უცხო ენის B 1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).
- ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ან მათ დარგებსა და ქვედარგებში, განათლებაში, სამართალში, ხელოვნებაში, ჯანდაცვაში და მიმართულებათშორის დარგებში მინიჭებული ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული-დიპლომირებული სპეციალისტის) ხარისხი.

სწავლის შედეგი:

ცოდნა-გაცნობიერება: სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს სოციალურ და კულტურულ ანთროპოლოგიაში აქტუალური თემატიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც მოიცავს ამ სფეროსთვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ/ცნებით აპარატს, ანთროპოლოგიურ თეორიებს, კლასიკურ და თანამედროვე სოციალურ-თეორიულ მიდგომებს, კულტურის გამოყენებითი ასპექტების გააზრება, რაც მაგისტრს აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას; აქვს ცოდნა სოციოკულტურული ფაქტორების ზემოქმედების კანონზომიერებების, აგრეთვე სოციალური ინსტიტუტების, პიროვნებისა და, ზოგადად, სოციალური და კულტურული ფენომენების სპეციფიკური ასპექტების შესახებ, სოციალური ცვლილების პროცესთა კულტურულ ვარიაციებზე, ინოვაციისა და ტრადიციის ურთიერთმიმართებაზე თანამედროვე პრაქტიკის კონტექსტში. აცნობიერებს აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაციის და პრობლემის გადაჭრის გზების მოძების საჭიროებას. მაგისტრს აქვს ერთ-ერთი ევროპული ენის (ინგლისურის/ გერმანულის /ფრანგულის) ცოდნა B2 დონეზე მისი დარგობრივ სფეროში სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება: კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა და უნარი გამოიყენოს კვლევის დარგობრივი მეთოდები და თანამედროვე სტრატეგიები კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებისათვის. აქვს ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი. აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; აგრეთვე, გამომუშავებული აქვს უშუალოდ საქმიანობის სპეციფიკით გათვალისწინებული სპეციალური უნარ-ჩვევები: კონკრეტული სფეროს საკვლევად ადეკვატური პრინციპების ანალიზის, საკვლევი საკითხის ფორმალიზების, გამოსაყენებელ მეთოდთა შერჩევის, კვლევით მოპოვებული მასალის დამუშავების ჩვევები; შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით. მაგისტრანტები აითვისებენ ეთნოგრაფიული კვლევის ემპირიულ მეთოდებს. მათ შეეძლებათ საველე სამუშაობის წარმოება. შეძლებენ გამოიყენონ დაკვირვების, ინტერვიურება-ანკეტირების, ტიპოლოგიის მეთოდები. მასალის ფიქსაციისას საველე-კვლევით სპეციფიკას ემატება წერილობითი ფიქსაცია დღიურების, თემატური ბარათების, ანგარიშების სახით, ასევე ვიზუალური ფიქსაცია ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. მაგისტრანტებს შეეძლებათ განახორციელონ პრაქტიკული კვლევები, მოახდინონ ეთნოგრაფიული ფაქტების რეკონსტრუცია, მოვლენების პროგნოზირების უნარის საფუძველზე შეიმუშაონ რეკომენდაციები მნიშვნელოვან სოციო-კულტურულ საკითხებთან მიმართებაში. მაგისტრს შეუძლია ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის

გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.

დასკვნის უნარი: ანთროპოლოგიის მაგისტრს შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში გადაწყვეტილების მიღების უნარი.

კომუნიკაციის უნარი: ანთროპოლოგიის მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, ანთროპოლოგიის მაგისტრს შეუძლია სხვადასხვა თემებზე თავის აზრებისა და შეხედულებების ზეპირი და წერილობითი სახით ჩამოაყალიბება; შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის და ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად. აქვს საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და უცხო ენაზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით; აქვს ქართულ და უცხო ენაზე პრეზენტაციის წარმართვის უნარი;

სწავლის უნარი: ანთროპოლოგიის მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ღირებულებები: ანთროპოლოგიის მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას. მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: ზემოთაღნიშნული შედეგები მიიღწევა სალექციო–სასემინარო მუშაობისას აქტიურობის, შუალედური შეფასების, ტესტების, პრეზენტაციის, ესსეების წარმოდგენის, დისკუსიებში მონაწილეობის, დასკვნითი გამოცდის,

სამაგისტრო ნაშრომის და საველე საექსპედიციო ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დასაქმების სფეროები: სამთავრობო და არასამთავრობო, ადგილობრივი და საერთაშორისო სტრუქტურები, სამეცნიერო/კვლევითი ორგანიზაციები და ცენტრები რომელთა ინტერესები მოიცავს სოციალური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს დინამიკის შესწავლას; თანამედროვე ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას, მასობრივი მედიის საშუალებები; ტურისტული სააგენტოები; კულტურული სპეციფიკის შემსწავლელი ორგანიზაციები, სამუზეუმო დაწესებულებები. მაგისტრატურის კურსდამთავრებულს ექნება საფუძველი დოქტურანტურაში სწავლის გასაგრძელებლად. პროგრამის დასრულების შემდეგ ახალგაზრდები შეძლებენ საქმიანობა გააგრძელონ სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო დაწესებულებებში; ეთნოლოგიური პროფილის დაწესებულება-ორგანიზაციებში.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან ხუციშვილი

დამატებითი ინფორმაცია: – სამაგისტრო ნაშრომების თემატიკა მოიცავს ანთროპოლოგიურ საკითხთა ფართო სპექტრს: საზოგადოებისა და კულტურის ელემენტებისა და სტრუქტურის, ღირებულებათა სისტემის, იდენტობის, გლობალიზაცია–მოდერნიზაციის პროცესების, ეთნოკულტურული ჯგუფების ქცევითი და ყოფითი მოდელების, ეთნოკულტურული მახასიათებლებისა და სტერეოტიპების, რელიგიური მახასიათებლების, სოციალური ინსტიტუტების თავისებურებებისა და ყოფითი

რეალიების კვლევის საკითხებს. კულტურა და სოციალური ურთიერთქმედება (კულტურული ჯგუფების სოციალური პერცეპცია და ქცევითი ორიენტაციები, კულტურული სტერეოტიპები, ეთნოცენტრიზმი).

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:
პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფენ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ეთნოლოგიის მიმართულების პროფესორები:

1. სრ. პროფ. ისტ. მეცნ. დოქტორი ქ. ხუციშვილი,
2. ასოც. პროფ. ისტ. მეცნ. დოქტორი რ. თოფჩიშვილი,
3. ასოც. პროფ. ისტ. მეცნ. დოქტორი გ. გოცირიძე,
4. სრ. პროფ. ფილოსოფ. მეცნ. დოქტორი ა. ყულიჯანიშვილი,
5. ასოც. პროფ. ისტ. მეცნ. დოქტორი ნ. კიღურაძე,
6. ასოც. პროფ. ფილოსოფ. დოქტორი ნ. გულიაშვილი,
7. ასოც. პროფ. ფილოსოფ. დოქტორი ვ. რამიშვილი,
8. ასოც. პროფ. ფილ. მეცნ. დოქტორი თ. ქურდოვანიძე,

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები:

1. ასოც. პროფ. ფსიქ. დოქტორი ლ. სურმანიძე,
2. ასოც. პროფ. სოც. დოქტორი ლ. წულაძე,
3. სრ. პროფ. სოც. მეცნ. დოქტორი ა. ბერძენიშვილი

და მოწვეული პროფესორი

1. ისტ. დოქტორი რ. გუჯეჯიანი,
2. თ. ქამუშაძე
3. თ. მატარაძე

(იხ. დანართი № 3)

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ: იხ. დანართი № 4
პროგრამის მუშაობისათვის მატერიალურ ბაზას წარმოადგენს თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, მის დეპარტამენტებთან არსებული ბიბლიოთეკები და ტექნიკური აღჭურვილობა, ასევე ფაკულტეტის ბიბლიოთეკა და რესურს-ცენტრი და საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციები.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია**
სწავლების საფეხური: **მაგისტრატურა (120 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **პროფ. ქეთევან ხუციშვილი**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011** (უცხოურ ენასთან დაკავშირებით პროგრამაში ცვლილება შევიდა აკადემიური საბჭოს **№122/2011** დადგენილების საფუძველზე).
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011/2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

სავალდებულო კურსები / მოდულები – 50 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩასარეგ	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სემინარი ჯგუფი / პრაქტიკუმი	ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მოსამზადებლად	შუალედური გამოცდის/გამოცდების მოსამზადებლად	დასკვნითი გამოცდის მოსამზადებლად			შემოდგომა	გაზაფხული	
1	ანთროპოლოგიური თეორიები	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ქ. ხუციშვილი
2	სოციალური თეორიები (კლასიკური და თანამედროვე მიდგომები) (სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ბერძენიშვილი ა.

	ფსიქოლოგიური ანთროპლოგიის პროგრამიდან)											
3	კულტურა და სოციალური კვლევის მეთოდოლოგია (სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიური ანთროპლოგიის პროგრამიდან)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ლ. სურმანიძე
4	კვლევის თვისებრივი მეთოდები (საველე ეთნოგრაფია)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ქ. ხუციშვილი
5	კვლევის რაოდენობრივი მეთოდები (სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ლ. წულაძე
6	პრაქტიკა I	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი
7	პრაქტიკა II	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ქ. ხუციშვილი, რ. გუჯეჯიანი
8	რელიგიის ანთროპოლოგია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ქ. ხუციშვილი
9	ფილოსოფიური ანთროპოლოგია (სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიური ანთროპლოგიის პროგრამიდან)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ყულიჯანიშვილი
10	კავკასიის ხალხთა ეთნოლოგია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		გ. გოცირიძე
არჩევითი სასწავლო კურსები – 40 კრედიტი (ECTS)												
1	სამედიცინო ანთროპოლოგია.	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ნ. მინდაძე
2	ეკონომიკური ანთროპოლოგია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ქ. ხუციშვილი, თ. ქამუშაძე
3	ფიზიკური (ბიოლოგიური)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ლ. ბითაძე

	ანთროპოლოგია (ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)											
4	ქართველთა ჩვეულებითი სამართალი (იურიდიული ანთროპოლოგია) (ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		რ. გუჯეჯიანი
5	ვიზუალური ანთროპოლოგია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ქ. ხუციშვილი
6	ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია *(სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიური ანთროპლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ლ. სურმანიძე
7	ძალადობის ანთროპოლოგია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ქ. ხუციშვილი
8	ლინგვისტური ანთროპოლოგია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ლ. წულაძე
9	საქართველოს ეთნოლოგია[1]	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		რ. გუჯეჯიანი
10	ეთნოგრაფიული მუზეუმთმცოდნეობა *(ეთნოლოგიის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		რ. გუჯეჯიანი
11	თანამედროვე თეორიები ფოლკლორისტიკასა და მითოლოგიაში[2]	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		თ. ქურდოვანიძე/ე. გოგიაშვილი
12	ისტორიული კვლევის მეთოდოლოგია – "ანალების სკოლის" კვლევები (სოციალურ-პოლიტიკურ	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		II	ნ. კიღურაძე

[1] კურსი დამტკიცებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ინგლისურენოვანი კურსი განკუთვნილია თსუ გაცვლით პროგრამებში მონაწილე უცხოელი სტუდენტებისთვის.

[2] კურსი დამტკიცებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ინგლისურენოვანი კურსი განკუთვნილია თსუ გაცვლით პროგრამებში მონაწილე უცხოელი სტუდენტებისთვის.

	მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიური ანთროპლოგიის პროგრამიდან)											
13	კულტურათა ტიპოლოგია: ინდივიდუალიზმი/კოლექტივიზმი (სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიური ანთროპლოგიის პროგრამიდან)	5	15	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ლ. სურმანიძე
14	კულტურის სემიოტიკა (სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფსიქოლოგიური ანთროპლოგიის პროგრამიდან)	5	15	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		ლ. სურმანიძე
15	კულტურის ორგანიზება და მართვა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ნ. გულიაშვილი
16	კულტურის თანამედროვე ტრანსფორმაციები (ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამიდან)	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ა. ყულიჯანიშვილი
17	მოქალაქეობა და ეროვნული იდენტობა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	I		თ. მატარაძე
18	პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის კვლევა ანთროპოლოგიური პოზიციიდან	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		თ. მატარაძე
19	კულტურის ფილოსოფია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ა.ყულიჯანიშვილი
20	კომუნიკაციების თანამედროვე თეორიები	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	III		ვ. რამიშვილი
22	უცხოური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	√	√	ენების ცენტრის მასწავლებელი
23	უცხოური ენა 2	5		60	45	8	10	2	უცხოური ენა 1 / ტესტი	√	√	ენების ცენტრის მასწავლებელი
	სამაგისტრო ნაშრომი	**30**									IV	

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი